ქამბა და რედაქცია
ილისი, სასახლის ქ.,
ო.-აზნაურო ქარვასლა

ს-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
მიმართავენ რედაქციას დილის
3 საათამდე და საღამოს 6—7
. ქ. საზ." წიგნის მაღაზიას.
მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

ბპირ მოლაპარაკება რედაქ-
ორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
წვრილი ასოებით პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д
Дворянства.
Телефонъ № 363



წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ღირება 5 მან.,


## ანგარიში

ონის შენახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა 1898 წლისა

1 იანვარს 1898 წლისა იყო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ილის ფული . . . | 4076— | გასესხებული . . | 7039—50 |
| ობარებული . . . | 2000— | დარჩა: . . | 1365—22 |
| ასესხი პირვანდელი | 1985— | აქედან ნაღდათ . | 1179 12 |
| ოგება . . . | 343— | ქონებით . . | 186—10 |
| | სულ 8404—72 | | სულ . 8404—72 |

1898 წელს.

| შემოვიდა: | | გავიდა. | |
|---|---|---|---|
| ილის ფული . | 2031—50 | მოგება წილზე . | 69—2 |
| არგებელი . . | 1393—50 | სესხი . . . | 22,840 |
| არიმა . . | 15—14 | სარგებელი დაუბრუნდა | 7—85 |
| რუნებული სესხი | 14,169—50 | მობარებული . | 3905— |
| ობარებული | . 10,103—79 | სარგ. მობ ფულისა | 184—85 |
| ასესხი . . | 2765— „ | ნასესხი პირვანდელი | 935— |
| თადარიგო თანხა | 50— „ | ნასესხი შემდეგის . | 2765— |
| ვა და სხვა . | 27— 1 | სარგ. ნას. ფულისა | 2—35 |
| დასვლითი . | 96 20 | სამართველოზე . | 340—47 |
| | | სხვა და სხვა . | 19—20 |
| | სულ 30,651—64 | გადასვლითი . . | 158—70 |
| | | | სულ 31227—44 |

1 იანვარს 1899 წელს არის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ის ფული. . | 6107 მ. 50 კ. | გასესხებული . . | 15,710 მ. |
| რებული. . | 8198 მ. 79 კ. | დარჩა . . . . | 789 მ. 42 კ. |
| სხი პირვანდ . | 1050 მ. | აქედან ნაღდათ. . | 613 მ. 32 კ. |
| დარიგო თან. | 50 მ — | ქონებით. . . . | 176 მ. 10 კ. |
| მიცემობითი . | 96 მ. 20 კ. | | |
| ბა . . . . | 996 მ. 93 კ. | | |
| | სულ 16,499 მ. 42 კ. | | სულ 16,499 მ. 42 კ. |

სამმართველოს წევრნი: { ევგენი ქუთათელაძე, მღ. სპირიდონ გორდეზიანი, დიმიტრი ბარქაია.


დააჭაშნიკეთ
გაუწურავი ღვინოები
პირდაპირ ბოჭკიდან ბოთლში ჩამოსხმული
„იყალთო"
ურგი და ლუარსაბ მაჰაშვილებისა გოლოვინის პროსპექტი სას-
ტუმრო „როსსიას" ქვეშ სახ. ანტონოვისა, № 19.
იქვე შეიძლება ღვინის სმა

ურნალო და ამბულატორია
. თოფურიასი
ქუთაისში.

ამკურნალოში 50 საწოლია ავად
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ხ. ბ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. ქ. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ.
მარშაშკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ხ. ბ. თო
ფურია
Лѣчебница В. С. Топуріа въ Кутаисѣ.


## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

5—23 ქრისტიშობისთვიდამ 1899 წლ. მე-5022 ნომრით. ვისგან და სად უნდა გარჩეულ იქმნას იმ მღვდლის საქმე, რომელმაც დასჯის ღირსი მოქმედება ჩაიდინა ერთს ეპარქიაში და ამის შემდეგ გადავიდა მეორე ეპარქიაში.

ერთმა მღვდელ-მთავარმა აღძრა საკითხი იმის შესახებ, თუ ვისგან და სად უნდა გარჩეულ იქმნას იმ მღვდლის საქმე, რომელმაც დასჯის ღირსი მოქმედება ჩაიდინა ერთს ეპარქიაში და ამის შემდეგ გადავიდა მეორე ეპარქიაში. უწმიდესის სინოდისაგან განმარტებულია: ა) გასამართლება იმ სამღვდელო მსახურებისა, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული კეთილ წესიერების და კეთილ საქციელის წინააღმდეგ. იმ საეპარქიო მთავრობამ უნდა მოახდინოს, რომელის უწყების ქვეშ იმყოფება დამნაშავე. (სტ. ა, ბ და რმც სას. კონსისტ. წესდებულება), ბ) უკეთუ სამღვდელო მსახური დანაშაულს ჩაიდენს სხვა ეპარქიაში, იმის საქციელის შესახებ საქმე უნდა წარმოებდეს ამ ეპარქიის დაწესებულებათა და ანუ თანამდებობის პირთა ხელში, იყე კი რომ ამისვე შესახებ ეცნობის ბრალდებულთა საეპარქიო მთავრობას (რნგ სტ. სასულ. კონს. წესდებ. საყოველთაო წერილობითი ბრძანება უწ. სინოდ. 1876 წ. მე-2 ნომერი), გ) ვინაიდგან სამღვდელო მსახურის ერთი ეპარქიიდგან მეორე ეპარქიაში გადასვლა საეპარქიო მთავრობათა ერთმანერთთან მიწერ-მოწერის შემდეგ ხდება (სტ. იგ. სას. კანსისტ. წესდ.), ამისთვის საეპარქიო მთავრობას, რომელმაც სამღვდელო მსახურს ნება დართო სხვა ეპარქიაში გადასვლაზედ, აღარ აქვს უფლება გასამართლოს ეს პირი, რომ მას თვის უფლება არ გაავრცელოს სხვა ეპარქიაში კანონის წინააღმდეგ (მესამე კან. მესამე მსოფლიო კრებისა) და დ) ამას გარდა სამღვდელო მსახურის დანაშაულობის გამოძიების წეს-რიგი, უკეთუ ჩადენილ იქმნა სხვა ეპარქიაში ეს დანაშაულობა, უნდა მოწყობილ იქმნას, სხვათა შორის, საეპარქიო მთავრობათა ურთიერთის დახმარების შემწეობით დასაცველად სადმართო ეკკლესიაში მსახურების დიდი საქმისა სამღვდელო მსახურთ ცუდ საქციელთაგან.

## ახალი ამბავი

*** მოსალოდნელი ჯილდო. ტფილისში აგერ თითქმის ერთი კვირაა, რაც ფრიად საინტერესო ამბავი ისმოდა, მაგრამ გაზეთებში ვერ იბეჭდებოდა ჯერ-ხანად. ხოლო გუშინდელ „კავკაზის" ნომერში ეს ამბავი უკვე გამოქვეყნებულია.

საქმე ის არის, რომ შარშანდელი რევიზიის შემდეგ ქალაქის გამგეობისა ბევრი უცნაური ხმები დადიოდა და ორი წევრი გამგეობისა კიდეც გადაყენებულ იქმნა უმაღლესის მთავრობით სამსახურიდან.

ეხლა მთავარ-მართებლის ბრძანებით მთელი გამგეობა ქალაქისა ქალაქის მოურავითურთ, სამართალში მიცემული. ეჭვი არ არის, თუ მთავრობას საბუთი არ ჰქონოდა, არც ასე სასტიკად მოიქცეოდა. ამ რიგად ამ ცოტა ხანში ჩვენ მოწმე გავხდებით, თუ როგორ დაბრძანდებიან დამნაშავის სკამზე ბ-ნნი ევანგულოვი, ხოსროევი, ვერმიშევი და არღუთოვი.

*** მიცკევიჩის ჩამოსვლა პეტერბურგიდან. გუშინ წინ მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორი მიცკევიჩი ჩამოვიდა პეტერბურგიდან, ხოლო მისი თანაშემწე ბ-ნი სანდრიგაილო აპრი-

ლის პირველ რიცხვებში წავა პეტერბურგს. როგორც ისმის, სანდრიგაილოს წასვლა დამოკიდებულია ზოგიერთ ცვლილებათა გამო კავკასიის ადმინისტრაციაში.

*** **საქველ-მოქმედო წარმოდგენას სახაზინო თეატრში** გუშინ საღამოს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. საზოგადოება ფრიად ნასიამოვნები დარჩა. დაწვრილებით ხვალ.

*** **გორის მემამულეთა ამხანაგობის გამგეობა.** კვირას გორში წლიური კრება ჰქონდათ გორის მემამულეთა ამხანაგობის წევრთ. კრებამ დაამტკიცა რა წარსული წლისა და მომდინარე წლის სავარაუდო ანგარიში, შეუდგა გამგეობის წევრთა არჩევას. დირექტორებად არჩეულ იქმნენ თავ. გიგო დიასამიძე და ბ-ნი სიხარულიძე და მათს კანდიდატად თავ. სარდიონ ამირეჯიბი.

*** **რწმუნებულთა არჩევანი.** 29 მარტს, რწმუნებულნი აირჩიეს მეორე ხარისხის მსესხებელთ. არჩეულ იქმნენ: ყარაევი გრ. იაკ., კუსიკოვი ნიკ. სერგ.-ძე, საკოვი მიხ. იაკ.-ძე, მელიქოვი ვალ. გაბ.-ძე. წინამძღვრიშვილი ილია ივ. ძე, პსაროვი ივ. იაგ.-ძე სოფიევი აბას-ყული, ფურცელაძე ანტ. ნიკ.-ძე, ციციშვილი გრ. გაბ.-ძე, ხუდადოვი ნ. ა., მამაცაშვილი კონ. ი., ათაბეგოვი ნერს ასლ., თ. ჯორჯაძე ივ. გიორ. ბარათაშვილი დავ. ზაალ., მაჰავარიანი რ. დ., დოლინსკი გ. კ., გაბაშვილი ალ. ზაქ., ჯავრიშვილი სოლ. ევსტ., ამირალოვი ფრ. ივ., მაყაშვილი ვლ. გაბრ., მაკარსკი ფ. ი., მესტიაშვილი ს , კიკნაძე ვ. ი., პროზოროვსკი, ფარესოვი დ. ბ., თ. ციციშვილი ნ. ს., თ. შალიკაშვილი ი. ი., მჭედლიშვილი პ. ლ., მთვარელიშვილი ნ. ვ., გაბაშვილი ვ. ი., ისარლოვი პ. ე., თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილი, ხერხეულიძე კ. კ. და ვეზირიშვილი მ. ნ.

კანდიდატებად: მელიქიშვილი ი. გ., ზანდუკელი ს. ი. და ბეთანიშვილი.

*** **ს. ძიმითი** (გურია). **საინტერესო საზღვრები.** გაზ. „ც. ფ“ მე-714 №-ში დასტამბულია ძიმითის და ჯუმათის შორის საზღვრის შესახებ ფრიად საინტერესო წერილი, რომლით ბ. კორესპონდენტი, ვლადიმერ ლომაძე თვალს უხვევს, არა თუ მარტო ადგილობრივ მცხოვრებლებს, არამედ მთავრობასაც. ჯუმათის და ძიმითის სოფლებს შორის, რომ საზღვარი სადავოა ეს ნამდვილია, მაგრამ ბ მოამბე სხვათა შორის ასაბუთებს: ვითომც ამ საზღვარში მყოფნი ჯუმათის სახაზინო გლეხები ჩამოსახლებული იყვნენ და მათ ადგილ-მამული შეეძინოთ ძიმითლებიდან, ეს მტკნარი სიცრუეა, რომელზედაც მეც მკითხველების საყურადღებოდ ავსწერ შემდეგს: ეს სადაო საზღვარი მოდებულია თვით ჯუმათის მონასტერზე, რომელსაც ეკუთვნოდათ წინათ აქაური გლეხები; ამათი ადგილები წინათ საეკკლესიო იყო და ეხლა კი სახაზინოთ არის შეცვლილი. ჯუმათის სახაზინო გლეხები, რომ აქ სოფლის დაარსებიდან ყოფილან დასახლებული, ამას თვითონ ადგილების სახელები ამტკიცებენ, მაგალ.: „ებძენიძისეული“, „საკილაო“ და სხ., რომელზედაც დღესაც დასახლებულნი არიან ჯუმათის სახაზინო გლეხები: ებძენიძენი, კილაძენი, დარჩიები, მექვაბიშვილები და სხ., ნიშნავს, რომ ადგილების სახელები „ებძენიძესეული“ და სხ. წამომდგარია თვით ადგილების მეპატრონეთა გვარებიდან. რაც შეეხება ძიმითელ საბატონო გლეხების აქ ცხოვრებას ეს გასაკვირველიც არ არის, რადგანაც მათ ბატონს, თავ. გურიელს, ამავე ცნობილ სოფელში აქვს სასახლე და ესეც ჯუმათის საზოგადოებას ეკუთვნის. ამაზედაც თუ არ დამეთანხმება ბ. მოამბე მიბრძანდეს ჯუმათის სასოფლო სასამართლოში და განიხილოს კომლიური სია 1886 წ. № 3 და აგრეთვე ჯუმათის საეკკლესიო საბუთები და მაშინ დარწმუნდება, რომ აქ სადაო და სალაპარაკო არაფერია. ეს კარგად უნდა იცოდეს ბ. ლომაძემ, რომ ყველა გურიის სოფლებში არიან დასახლებული ერთად: სახელმწიფო, საბატონო გლეხები; თავად-აზნაურობა და სხ., რომლებიც შეადგენენ ერთ ჯგუფს, ერთ საზოგადოებას, მაგრამ შეიძლება ასვრილათ დასახლებულ სახაზინო და საბატონო გლეხებს ცალ-ცალკე საზოგადოება გაუკეთდეს?! მაგრამ ამასაც ვიტყვი, რომ ეს იმისი ბრალი კი არ არის, არამედ რაღაც „ყოვლის შემძლებელისა“. ერთხელ 1890 წ. იყო დავა ამის შესახებ და ბ. გუბერნიის უფროსის განკარგულებით, რომელიც ერთხელ საოლქო სასამართლოს განჩინებითაც დამტკიცებულია, ძიმითის და ჯუმათის შორის აიხსნა უხსოვრის დროიდან არსებული საზღვარი „მამათის ღელე“, რომლის არხები შეადგენს მიუდგომელ კლდეებს, მაგრამ ეს განკარგულება, რაღაც მანქანებამ და „ყოვლის შემძლებლის“ ძალამ, თვით ბ. ლომაძის თაოსნობით გააქრო. მას აქეთ ამ სოფელში მუდამ შური და მტრობაა ატეხილი და ქურდ-ბაცაცობას ხომ სათვალავი არ აქვს. ამის მიზეზით გასულ 1898 წ. ისევ აღძრა საჩივარი მაზრის უფროსის წინაშე, რომ როგორმე განისაზღვროს ეს დაუბოლოვებელი დავაო“, რომლის გამოძიება, როგორც კორესპონდენტი ამბობს, ლანჩხუთის პოქაულს ბ. იოსელიანს ჰქონდა მინდობილი. გამოძიება დასრულდა 20 ნოემბერს 1898 წ. მაგრამ ნუ მოხვალ განცვიფრებაში!.. სადაც ძიმითის მხრიდან მოწმეთ, მათი ნაჩვენები საზღვრის „რეხმელის ღელის“ ასახსნელათ ერთი მოწმეც ვერ იშოვნეს! მერე იქით ეცნენ აქეთ და თვითონ მომჩივნებთაგანს მოწმეთ ამოასკუპებინეს თავის სიაში, რომლებიც ნაკითხია რიცხვთა შორის სხვებისა, სადაც ჯუმათის მხრიდან ყველა მოწმეს მღვდლები და აზნაურები შეადგენდნენ. აქ ბ. ბოქაული ყველაში დარწმუნებული ბრძანდება და იმედია ამ საქმეზე დანიშნული „კომისია“ თავისას იზამს და ამით ეღირსებიან თავისუფლათ ამოსუნთქვას საწყალი აქაური გლეხკაცობა.

ლაშისპირელი

*** **ს. წევა** (იმერეთი). **დამაბუნება და უკან ჩამორჩენა სწორედ ანთებულ თონეში ყოფნა** სჯობია ინტელიგენტისთვის, თუ ისეთ საზოგადოებაში სცხოვრობ ინტელიგენტი, რომელი საზოგადოების წარმომადგენელი ხალხიც სრულებით არაფერ საქმეში თანაგრძნობას არ გიწევს და პირიქით ყოველ კეთილ დაწყებულ საქმეს ინტელიგენტისას, საადგილ-მამულო დასაშვილი-შვილო სასარგებლოს თავ-დაღმა ამხობს და მიწასთან ასწორებს! საბრალოა, საბრალო ამ ნაირი ინტელიგენტი უვიც ხალხში! ეს ხუთი-ექვსი წელიწადია, რაც ჩვენ სოფელში მოვარდნა და დაბინავება ბედმა თუ უბედობამ არგუნა ჩვენსავე სოფელში დაბადებულს და გაზდილს ს. გ — ძეს. რამდენი რამ არ მოინდომა ამ ახალ-გაზდა განათლებულმა, რომ გაეკეთებინა და თავი ესახელებინა, მაგრამ არ გაგიწყრეს ღმერთი! უკანასკნელი ეკკლესიის მნათეს გამოცვლა მოინდომა და ისიც ვერ მოახერხა სხვა და სხვა პირების გადაკიდებით. მოინდომა ადგილობრივი ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთება და ვერა გაარიგა რა! რა ქნას? თანამგრძნობი არა ჰყავს. მე ზემორე ამის დამწერი გინდ მივეჰხრო გინდ არა, მარტო რა შემიძლია და სოფლადაც წევაში სამსახურისა გამო იშვიათად ვარ ხოლმე.

— **გზის საქმე.** ახლა ამ უკანასკნელად, მთელი სოფელს რ
ნის გზის მთავრობისაგან „45
მანეთი ამოუგო, ვინაიდგან რ
ნის გზის ლიანდაგის გასაყვან
სოფლის კუთვნილი ადგილი
სჭირდა. ამ ამოგებული ფულ
ბით მოინდომა კერძო ურთიე
შორის ნდობის კასსის გახ
მთელი სოფლის ულარიბესი გლ
ხეპისთვის, მაგრამ ამაზედაც
მოდენიმე გავლენიანმა პირე
და მოწინავე დასმა საზოგა
ბისამ მკაცრი უარი განუცხ
რა ძნელი რამ არის, როდ
საზოგადო საქმეში კუდ მომწ
თავ-მოყვარეობა ამოჰყოფს თ
და „მე“-ს ძახილი შეიქნება.

წითელი ქვის საქმე იყო
ში და იმაშიაც ბევრმა არა
ბის თვალით შეხედეს, რის
მოც თავიანთი წითელი ქვ
მამულები სულ სხვებს გადა
კანდრახტებით და პირობებით.

— **სასაფლაოს საქმე.** თით
ეს ოცი წელიწადია, რაც ს.
ვის ეკკლესიის მრევლის სასაფ
იმდენათ გავსილია მიცვალ
ლებით, რომ ხშირად ახალი
რის გაჭრის დროს ძველი მი
ლებულის ძვლები, თავი და
ბი უნდა ამოთხარონ და
ახალ მიცვალებულს ჩაატა
ისევ. ამაზედ ზემოხსენებულს
ტელიგენტს შეეხვეწნენ რამ
ნიმე გლეხები: გვიშველე
გააგებინე მთავრობას ჩვენი
ფლაოს საქმე და იქნება გადა
ნონ სადმეო და სხვა.. მართ
ხსენებული ინტელიგენტი
ცურდა და იქამდის მიიყვანა
მე, რომ სასაფლაო მთავრ
უნდა გადაეტანა. მაგრამ, მაგა
ის არის, რომ ვინც ამ საქმის
გულიანებელნი იყვნენ, დაბო
ისინი თვითონ მკაცრი მოწინ
მდეგეები შეიქნა. მოდი და
ვე ეხლა ვინმეს? იმედია, მთა
ბა მაინც თავისას არ მოიშ
და სასაფლაოს აუცილებლად
დაატანინებს გლეხებს, სადაც
არს და კანონთან ჯიუტობას
ჯიბრიანობას ხომ ალაგი
ექნება.

წეველი „ც

## ახალი მიმართულება კახე... რკინის გზისა *)

(ინჟენერის კ. ნ. სიმბერგისა)

ინჟენერის კ ნ. სიმბერგის
მოკვლევისამებრ, რომელიც
წარდგენილია სადაც ჯერ
კახეთის რკინის გზა იწყება
ავჭალაში: ტფილისის რკინის
სადგური ჯერ ეხლაც მეტად
რო არის და, რადგან ამავე
გურზე იქნება დასაწყისი ყა
და გუმბრ-ჯულფის რკინის გ

*) «მოამბე» № 3.

...მდენად შევიწროვდება, რომ
...ის გზისთვის საჭირო შენო-
...ა და ლიანდაგებისთვის ად-
... სრულიად ალარ ექნება.
...ლისის სადგური იმდენად ვიწ-
..., რომ თავად-აზნაურთა გა-
...ლევითაც დასაწყისი კახეთის
...ის გზისა ტფილისში კი არა,
...ულში არის დადებული.
...ო-ავჭალიდან გზა აჰყვება
...რს და მერე არაგვის მარცხ-
... მხარეს, გაიკლის სოფ. გუ-
...ანთ-კარს და ჯვარის სოფელს,
...ან გადაუხვევს ბიწმენდისკენ
...ატნის გადასავალზე სოფელ
...ამდე და გადავა ერწოში; გა-
...რის ერწოს და მივა ორხევის
...ურზე, იორის მარჯვენა მხა-
... იქიდან აჰყვება იორს სოფ.
...აულომდე; იქ ათ საჟენიან
...ო გავა გაღმა და უკულმართის
...სავალით ჩავა ხევ-გრეხილის
...ში; ამ ხეობით წავა მდ. ილ-
... (ალაზნის ტოტია); იქიდან
...ვს საგულჩეს ხეობას სოფ.
...დგურ ახმეტამდე. ახმეტიდან
...ულ შოსეს დასწვრივ ჩავა
...ვს. თელავის სადგური იქვე
... გამართული, სადაც თავად-
...ურობის გამოკვლევისამებრ
... ყოფილიყო; ამ სადგურიდან
...ივლის მარჯვენა მხარეს, ვე-
...ქვევით სოფელ საქობომდე.
... თვით მიმართულება გზისა:

| | |
|---|---|
| ...ავჭალა | ილტო |
| ...მენი | ახმეტა |
| ...მიანთ-კარი | აწყური |
| ...მღვარიანთ-კარი | ოროზანი |
| ...ნი | თელავი |
| ...ი | წინანდალი |
| ...მარელისი | ვაჩნაძიანი |
| ...ნიანთ კარი | მუკუზანი |
| ...ვი | გურჯაანი |
| ...აულო | ბაკურ-ციხე |
| ...მართი | კარდანახი |
| ...ლა | საქობო |

...ძე ამ გზისა იქნება 166,8
...
...ნე 1,4 არშინი.
... სადგური იქნება, 10 ქვით
... სარდაფი ღვინის შესანახად,
... 25 ოთხ კუთხი საჟენი.
...ს გაკეთება დაჯდება ვერსი
...0 მ. საჭირო მამულის სას-
...ად გადადებული იქნება
...000 მან.

(დასასრული იქნება)

## განსართობი

—

...ები ქალებზედ. დიდი საქმე ის
... არის, რომ ლამაზ ქალად და...
... საქმე ის არის, რომ ლამაზად
..., ხოლო ყველაზე უძნელესი ის
... რომ მუდმივ ლამაზი იყო.
...რა სამწუხაროა, რომ ადამიანს
...ვლის სამოთხიდან მარტო ქალი...
...ნა.
... არის ისეთი წუთი სიცოცხლეში,
... მდიდარ ქ...ხ... კა ი...

ყვიან ხოლმე „აი საწყალიო“!

— ქალი რაც უნდა გატაცებული იყოს სიყვარულით, მაინც არ დაივიწყებს თმების დახუჭუჭებას.

— ნუ ცდილობ გაიგო ქალის გულის საძირკველი, რადგან ძირში ყოველთვის მწარე ხინჯია ხოლმე.

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

ბეჭდვა უწამლოდ. ერთს ინგლისელ ტეხნიკოსს გრინს მოუგონია საოცარი საშუალება, ბეჭდოს და სტამბოს ყოველისფერი უწამლოდ. ეს ახალი გამოგონება დიდს ცვლილებას შემოიღებს სტამბის საქმეში, ჯერ ერთი რომ ფრიად იაფი იქნება, და მეორე ისა, რომ წამალი რაც უნდა კარგი იყოს, მაინც ქაღალდს აჭუჭყიანებს.

## ქართული სტამბები და დაბეჭდილი წიგნები მეჩვიდმეტე საუკუნიდამ (1629 წლიდგან). *)

ქართული ჟურნალ-გაზეთები 1817—1899

მეურნე“ სამეურნეო გაზეთი, გამოიცა 1888 წ. ტფილისს, რედაქტორათ ვ. სულხანიშვილი იყო. 1895 წ. გაზეთი ქუთაის გადაიტანეს, რედაქტორათ ილია ჰყონია არის.

„ჯეჯილი“ საყმაწვილო ჟურნალი, გამოიცა 1889 წ. წელიწადში ექვსი წიგნი გამოდიოდა, ეხლა თვეში ერთი წიგნი გამოდის. წელიწადში ღირს 4 მ. რედაქტორათ ან. თუმანიშვილია, იბეჭდება 600 ც.

„კვალი“ კვირის სურათებიანი გაზეთი. გამოიცა 1893 წ. ან. თუმანიშვილ წერეთლის რედაკტორობით, წელიწადში ღირს ექვსი მანათი. იბეჭდება 1000 ცალი.

„მოამბე“ თვიური ჟურნალი გამოიცა 1894 წ. რედაქტორად ალექსანდრე ჰყონია იყო და გამომცემლათ ნიკოლოზ ლოლობერიძე წელიწადში 10 მ. ღირს, იბეჭდება 400 ც.

„ცნობის ფურცელი“ გამოიცა 1896 წ. ღვინობისთვის 20-დამ, ყოველ დღიურია კვირა-უქმე დღეებს გარდა. რედაქტორათ ვ. გუნია ირიცხება, იბეჭდება 1000 ცალი.

„კრებული“ თვიური ჟურნალი გამოსვლა იწყო 1898 წლიდგან აკაკის რედაკტორობით, წელიწადში ღირს 7 მ. 1899 წ. ყვირილაში გადაიტანეს რედაქცია, ჟურნალი ქუთაისში იბეჭდება. იბეჭდება 1000 ცალი.

„საქართველოს სასულიერო უწყება“ გამოდის ორ კვირაში ერთხელ, შიგ იბეჭდება მხოლოდ ოფიციალური განცხადებანი სასულიეროს მთავრობისა. წელიწადში ღირს 2 მან. იბეჭდება 800 ცალი.

ქუთაისის ქართული სტამბა

ქართული სტამბა ქუთაისში დაარსდა 1840 წლებში, გუბერნიის სამმართველოს მახლობლივ და აღიბეჭდა შემდეგი წიგნები:

1) ნაპოლეონ ბონაპარტეს ცხოვრება, ნათარგმნი რუსულიდან გ. დიდებულიძის მიერ, დაბეჭდილი ქუთაისის გუბერსკის სტამბაში 1862 წ.

2) სარკე თქმულთა, თეიმურაზ II-ის ნათქვამი, გამოცემა ქორქაშვილის მიერ 1870 წ.

3) ცხოვრება და ხასიათი ძუნწი მდიდრებისა, სკაპცებისა და ურიებისა, ქუთაისი 1880 წ.

4) არიფმეტიკის გაკვეთილები, პ. ჩიმაკაძისა, ქ. ქუთაისი, 1884 წელს.

5) ცხოვრება მახარობელთა მღ. რაჟ. გიგაურისა 1877 წ.

6) კალანდობა, კომედია 1881 წ. ქუთაისი.

7) საარშიყო ლექსები, მ. აბესაძესი, 1880 წ. ქუთაისი.

8) მამის წყევლა, დრამა გ. დემურიანისა, 1880 წ. ქუთაისი.

9) ვეფხის ტყაოსანი, შოთა რუსთაველისა, ქუთაისი 1883 წ.

10) ლექსები ანტონ ძნელაძისა ქუთ. 1881 წ.

11) მკვდარ-ცოცხალი, ტოლსტოვისა, თარგ. თ. ხუსკივაძისა 1884 წ. ქუთაისი.

12) ქართული გრამატიკა, სილ. ხუნდაძისა 1887 წ. ქუთ.

13) გრამატიკული ტერმონოლოგია ქართულის სიტყვიერების მოყვარეთა, 1884 წ. ქუთაისი.

(შემდეგი იქნება)

(* იხ. „ცნობ. ფურც.“ № 784.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

27 მარტი.

**კიევი.** გუშინ დაიწვა ილნეცკის ქარხანა შაქრისა კიევის გუბერნიის ლიპოვეცკის მაზრაში. ქარხანა ეკუთვნოდა დემიდოვისას კნეინა სანდონატოს. დაზღვეული იყო 400 ათას მანეთად.

**პარიზი.** „Figaro“-მ განაცხადა ჩვენება არტილერიის მაიორის გარტმანისა, რომელმაც სთქვა, რომ ზარბაზანი № 120 და გიდრავლიური ტორმოზი უკვე ცნობილი იყო გარეშე დიდ სახელმწიფოთა მიერ ჯერ ისევ 1894 წლის წინად. გარტმანმა გაიხსენა საქმე მოხელის ბუტონესი, რომელმაც 1890 წ გაჰყიდა საბუთის ქაღალდები, რომლებიც ეკუთვნოდა სამხედრო სამინისტროს სატეხნიკო განყოფილებას. მოწმემ წაიკითხა სამინისტროს მიერ გამოცემული ამ საქმის შესახებ ინსტრუქციები, რომლებიდგანაც სჩანს, რომ საქმე შეეხება მხოლოდ ცდის იარაღისას და არა მასალას. არტილერიისა და ყველა სხვა აფიცრებს შეეძლოთ ეშოვათ ცნობები და გეგმა ტორმოზისა. მოწმეს, რომელიც 8 წელიწადს მსახურობდა სატეხნიკო განყოფილებაში, არასოდეს არ უნახავს, რომ დრეიფუსი მისულიყოს საბუთის ქაღალდებისათვის. გარტმანმა სთქვა შემდეგ, რომ თოფისა და ზარბაზნის სროლის შესახებ სახელმძღვანელო მარტო ჯარში არ იყო ცნობილი. ესტერგაზიო,—სთქვა მან,—დაესწრო შალონში მომხდარ საცდელ სროლასა. „ბორდეროს“ შემდგენელს მე არ ვიცნობო, სთქვა მოწმემ. რაც უნდა იყოს, არტილერიის საბუთის ქაღალდები დრეიფუსის მიერ არ არის გადაცემული. რობენის იარაღი არა ჰგავს გერმანელთა შრაპნელსაო. აქ არავითარი საიდუმლოება არ არისო, სთქვა მოწმემ. გერმანელებიც აკეთებდნენ ასეთს იარაღსაო.

გარტმანი დაბარებულ იქმნა ვექილის თხოვნით.

„Echo de Paris“-ი ამბობს, რომ ბერტულესისა და როჟეს ჩვენებათა ერთმანეთის წინააღმდეგობისა გამო საკასაციო პალატა შეიკრიბება იმის გამოსარკვევად—საჭირო ხომ არ არის დამატებითი გამოძიებაო.

ლემეტრი და „საფრანგეთის მამულიშვილთა ლიგის“ სხვა წევრნი დაბარებულ იქმნენ ზნეობის გამასწორებელ პოლიციის მიერ.

**პარიზი.** ლუბე დაბრუნდა ელისეს სასახლეში. სადგურზე მრავალი ხალხი დაუხვდა ყვირილით: „გაუმარჯოს ლუბეს!“

**სტოკჰოლმი.** დოქტორმა მარტინმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ნორდენშილდს: „ტომსკის უნივერსიტეტმა დაადგინა გაჰგზავნოს ორი სამი პროფესორი ანდრეს საძებნელად მდინარე პოდკამენისა და ტუნგუზის ანგარას შუა. თვით მე ოქროს მადნებისაკენ მივდივარ და იქიდგან ერთის კვირის შემდეგ დავბრუნდები. ლიალინის მოქმედება ჯერ ვერ შევიტყვია“.

**მადრიდი.** შინაგან საქმეთა მინისტრი იმ აზრისაა, რომ ანდალუზიასა და ჩრდილოეთისაკენ შემჩნეული აგიტაცია კარლოსის სასარგებლოდ მხოლოდ დროებითი იქნება და ამ აგიტაციას არავითარი შედეგი არ მოჰყვება, რადგანაც აგიტაციას მომხრენი არა ჰყავსო. ჯერ აქამდეს, სთქვა მინისტრმა, საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამბოხება მოხდეს.

**ძინ ტაუ.** გერმანიის ჯარის კაცებმა დასწვეს ორი სოფელი ჯოუფუს მახლობლად და მერე დაბრუნდნენ აქ გემით.

28 მარტი

**პეტერბურგი.** 27 მარტს, დანიის მეფის დაბადების დღეს ალექსანდრეს სასახლეში, ცარსკოე სელოში, ხელმწიფე იმპერატორთან გაიმართა საუზმე. საუზმის დროს ხელმწიფე იმპერატორმა წარმოსთქვა სადღეგრძელო დანიის მეფისა.

პეტერბურგში მყოფმა დანიელებმა 21 მარტს იდღესასწაულეს დანიის მეფის 81 წლის შესრულების დღე და გამართეს მეჯლისი კიუბას რესტორანში.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა: აღკრძალულ იქმნას გაზეთის „კიევლიანინის“ ცალკე ნომრების გაყიდვა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: აკრძალულ იქმნას გაზეთის „ნაროდის“ ცალკე ნომრებით გაყიდვა.

29 მარტი

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე საზღვარ გარეთ წაბრძანდა.

**პარიჟი.** „ფიგარო“-ში დაბეჭდილია ჩვენებანი მერსიესი და ბილიოსი. მერსიემ განაცხადა, არ დავასახელებ იმ ყოვლად სანდო აგენტებს, რომელთაც ანრის გადასცეს საბუთის ქაღალდი „ეს საძაგელი დ.“—ს წარწერით და „ბორდერო“.ო. დრეიფუსის დანაშაულობას ამტკიცებს ექსპერტიზა და ის გარემოება, რომ დრეიფუსი აირია, როდესაც მას წერილი წაუკითხეს. მერსიემ განაცხადა იმ საიდუმლო საბუთის ქაღალდების შესახებ არაფერს ვიტყვით, რომელნიც სამხედრო სასამართლოს ეუწყა და სთქვა, რომ ესტერგაზს არ შეეძლო ბორდერო შეედგინა, რადგანაც არ უწყოდა, რა საბუთის ქაღალდებია გაცემულიო. ბილიომ განაცხადა, მე დავრწმუნდი, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო. გენერალი გამოტყდა, რომ სამხედრო სასამართლოს dossier-ი საკმაო საბუთს არ იძლევა, მაგრამ განსამართლების დროს დრეიფუსის დანაშაულობაში უნდა დარწმუნებულიყვნენო. ბილლიომ დაუმატა, არ შეიძლება საიდუმლო dossier-ის საბუთის ქაღალდების დაწვრილებით გახრეკა, რადგანაც საშიში პოლიტიკური ხასიათისაო.

**პარიჟი.** „Dailois“-ი იუწყება, რომ დელკასემ გუშინ ნიდერლანდის მთავრობისაგან ოფიციალური ქაღალდი მიიღო კონფერენციაზე მიწვევისა.

**პეკინი.** საფრანგეთის და რუსეთის ჯარი, მისსიების დასაცველად გამოგზავნილი, გუშინ წავიდნენ პეკინიდან.

## რედაქციისაგან

**ხიდისთავში.** ხიდისთაველ მონარდეს ჩვენ სრულიად გეთანხმებით, რომ ზოგიერთი ვაჟბატონების—ისტებად წოდებულთა გამოაშკარავება ფრიად საჭიროა, მაგრამ სამწუხაროდ თქვენი წერილი ვერ იბეჭდება.

# განცხადებანი


გაზეთ „კავკასის“ კანტორაში

ისყიდება

რუსული ახალი წიგნი

**ნორ-ქალაქ**

(ბინოკლისა)

წერილები უნებურად ორ-ცოლიანისა და საზოგადოდ გაუფრთხილებელის კაცისა.

**ფასი 1 მან.**, გაგზავნით ფოსტით 1 მ. 25 კაპ. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ 25%.

ამ გამოცემის წმინდა შემოსავალი დანიშნულია გადმოსახლებულთა სასადილოსათვის ტფილისში.

(20—7)

გამოვიდა და ისყიდება ცნობილის და საფრანგეთის საყვარელ პოეტის ბერანჟეს თხზულება.

**„ბერანჟე“**

ქართულად

ვ. გვაზავას თარგმანი.

**ფასი 40 კაპ.**

წიგნი მოზრდილია, სუფთაა და ლამაზად არის გამოცემული; შეიცავს 40 საუკეთესო ლექსს და ავტორის სურათს.

ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოიწერს, 20% დაეთმობა „ცნობ. ფურც.“ ხელის მომწერთ წიგნი გაეგზავნება ორიაბაზის ფოსტის მარკით. (10—10)

**ОТКРЫВАЕТСЯ ПОДПИСКА**

на безцензурный

НАУЧНО-ЛИТЕРАТУРНЫЙ И ПОЛИТИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

# „НАЧАЛО“

Журналъ «Начало» будетъ выходить ежемѣсячными книгами од[…] чатныхъ листовъ и содержать, кромѣ беллетристическихъ произведені[…] ковъ, стихотвореній, научныхъ статей по всѣмъ отраслямъ знанія и […] публицистическихъ, слѣдующіе постоянные отдѣлы: 1) внутреннее обо[…] 2) обозрѣніе провинціальной жизни и письма изъ провинціи; 3) иностр[…] обозрѣніе и письма изъ-за границы; 4) литературное и журнальное обо[…]ніе.—Въ библіографическомъ отдѣлѣ журнала будутъ печататься подпис[…] авторами рецензіи на вновь выходящія книги.

Въ ближайшихъ книгахъ будутъ помѣщены, между прочимъ слѣд[…] произведенія: К. Баранцевичъ «Пожаръ» (разсказъ). В. Вересаевъ «Из[…]нихъ встрѣчъ» (очерки).—Н. Гаринъ (Михайловскій) «Клотильда» (пов[…] «Мессеръ Гвидо Кавальканти», разсказъ Анатоля Франса, въ перев. […] Ольденбурга.— Р. Гвоздевъ «Шаманъ» (разсказъ).—Н. А. Рубакинъ […] р[…]шкино жертвоприношеніе» (Изъ воспоминаній голоднаго года).—З. А[…] [illegible] «М. [illegible]» — С. Ф. [illegible] гел[…]ссимизма?».— В. Г. Михайловскій «Развитіе русскаго земледѣлія въ XIX […] В. А. Іоновъ «Что такое „оскудѣніе центра“?»— А. Е. Лосицкій «Неур[…] 1898 года».- Л. А. Кирилловъ «Неземледѣльческій отходъ крестьянск[…] селенія» М. И. Туганъ-Барановскій «Споры о фабрикѣ и капитализм[…] имъ критикамъ).— П. Б. Струве «Основные моменты въ развитіи кр[…]го хозяйства въ XIX в. въ Россіи».—П. П. Масловъ «Заработная плата и […] въ русскомъ земледѣліи» —Г. Зиммель «Задача соціологіи», перев. Б. А[…]тяковскаго.

Въ журналѣ принимаютъ участіе слѣдующія лица: Б. В. Авилов[…] С. Баранцевичъ, С. Н. Булгаковъ, З. А. Венгерова, проф. В. И. Верна[…] проф. К. А. Вернеръ. В. В. Вересаевъ А. Э. Вормсъ, Н. Гаринъ (Н. Г. […]хайловскій), Р. Гвоздевъ, М. О. Гершензонъ И. А. Гурвичъ, М. И. […]овичъ, В. Э. Денъ, В. И. Ильинъ, В. А. Іоновъ, А. М. Калмыкова, […] Кирилловъ, Л. Ф. Кржевицкій, А. А. Корниловъ, Б. А. Кистяковск[…] В. Крестовская, проф. Д. Н. Кудрявскій, А. Е. Лосицкій, П. П. Ма[…] В. Г. Михайловскій, Н. К. Муравьевъ, А. А. Никоновъ, кн. В. А. Обо[…]кій, проф. Д. Н. Овсянико-Куликовскій, И. Х. Озеровъ, проф. С. Ф. […]денбургъ, В. В. Португаловъ, Н. А. Рубакинъ, А. А. Санинъ, В. Л. […]шевскій, П. Б. Струве, П. Ф. Тепловъ, В. Ѳ. Тотоміанцъ, М. И. Т[…] [illegible] А. И. Яроцк[…]

**УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:**

Подписная цѣна съ доставкой и пересылкой на годъ . . . 10 р.
« » « « « « « полгода . . . 5 «
« « « « « « « три мѣсяца . . 2 «
« « « « безъ доставки и пересылки . . 9 «
« « « съ пересылкой за границу на годъ . . 12 «

Принимается подписка въ главной конторѣ журнала: Малая Италья[…] 5 кв. 25 и въ отдѣленіяхъ конторы: въ библіотекѣ Черкесовой (О[…] Поповой), Невскій, 54, и въ книжномъ складѣ А. М. Калмыковой, Литейн[…]

(10—5) Редакторъ-издательница **А. А. Воейко[…]**

Открыта подписка на журналъ **„Новый міръ“** на **1899** годъ

Подписная цѣна годовому изданію „НОВЫЙ МІРЪ“ со всѣми премія и и приложеніями съ дост. и перес. . . . **14 р.**

**ПОДПИСЧИКИ „НОВАГО МІРА“ ВЪ ТЕЧЕНІЕ 1899 г. ПОЛУЧАТЪ СЛѢДУЮЩІЯ ШЕСТЬ ИЗДАНІ[…]**

I. ЖУРНАЛЪ **„НОВЫЙ МІРЪ“** СЪ СОВРЕМЕННОЮ ЛѢТОПИСЬЮ 24 выпуска въ годъ въ форматѣ лучшихъ европейскихъ иллюстрацій.

II. ОСОБЫЙ ИЛЛЮСТРИР. ОТДѢЛЪ **„МОЗАИКА НОВАГО МІРА“** (24 выпуска въ годъ) составляющій какъ бы самостоятельный журналъ по прикладнымъ знаніямъ, вмѣщающій въ себѣ 16 рубрикъ.

III. ЖУРНАЛЪ **ЛИТЕРАТУРНЫЕ ВЕЧЕР[…]** „НОВАГО МІРА“ 12 ежемѣсячныхъ иллюстрированн[…] книжекъ романовъ и повѣстей для с[…]мейнаго чтенія.

IV. ШЕСТЬ переплетенныхъ томовъ новаго полнаго собранія сочиненій *И. И. Лажечникова,* (ТОМ 1—6)

V. ШЕСТЬ переплетенныхъ томовъ новаго полнаго иллюстрирован. собранія сочиненій *Генриха Гейне,* въ перев. [illegible] русскихъ писателей редакціи В. В. ЧУЙКО (ТОМЪ 1—6)

IV. ДВѢ изящно переплетн. кни[…] ФОРМАТА in folio РОСКОШНАГО ИЗДАНІЯ *Живописной Росс[…]* посвященныя описанію черноземныхъ, нестепныхъ губерн. донско-каспійской обл.

(12—[…]


Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Марта 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. ბენიძის), რედაქტორ-გამომცემელი ვ. შ[…]